



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

სპეციალობა: საერთაშორისო ბიზნეს მენეჯმენტი

სამაგისტრო ნაშრომი

გლობალიზაციის გავლენა განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო
ურთიერთობების ფორმირებაზე

სტუდენტი: სოფო წიკლაური

ხელძღვანელი : ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი გელა
ალადაშვილი

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია.....	3
ANNOTATION	4
შესავალი.....	5
თავი I. გლობალიზაციის პროცესები მსოფლიოში.....	6
1.1.გლობალიზაციის მიმოხილვა.....	6
1.2.გლობალიზაციის მნიშვნელობა განვითარებად ქვეყნებში.....	16
თავიII. განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი.....	25
2.1. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების მიმოხილვა	25
2.2. განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკის ანალიზი.....	36
თავიIII. გლობალიზაციის გავლენა განვითარებად ქვეყნებზე.....	40
3.1.გლობალიზაციის შედეგები.....	42
3.2.განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების ფორმირება გლობალიზაციის პირობებში.....	45
დასკვნა.....	49
გამოყენებული ლიტერატურა.....	52

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება გლობალიზაციას და მის გავლენას განვითარებად ქვეყნებზე. შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალობა: განსაზღვრულია მიზანი და ამოცანები, ასევე კვლევის ობიექტი და საგანი.

პირველ თავში აღწერილია თანამედროვე გლობალიზაციის არსი გლობალიზაციის სახეები და მისი გავლენა განვითარებად ქვეყნებზე

მეორე თავში განხილული განვითარებადი ქვეყნები სავაჭრო ურთიერთობების მიმოხილვა, ასევე საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა.

მესამე თავში საუბარია გლობალიზაციის შედეგებზე ეკონომიკურ ტერიტორიაში თუ სადამდე მიყვართ ეკონომიკურ გლობალიზაციას რა პროცესებამდე, ასევე მოყვანილია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები და მათი ეკონომიკური დონე

დასკვნით ნაწილში ხაზგასმულია შემოთავაზებული თავეებში მნიშვნელოვანი საკითხების შეჯამება, გლობალიზაციის სარგებლიანობის გამოკვეთა

ANNOTATION

Master's work is about globalization and its influence on developing countries. Relevancy of the topic is substantiated in the introduction: the purpose and objectives, as well as the object and the subject of research.

The first chapter describes the nature of modern globalization as the types of globalization and its impact on developing countries.

In the second chapter, the developing countries are reviewing trade relations, as well as the Georgian trade policy.

The third chapter speaks about the composition of globalization in the economic context if it leads to the economic globalization of what processes, as well as examples of different countries and their economic level

The final part emphasizes summarizing of important issues in the above chapters, showing the benefits of globalization

შესავალი

თემის აქტუალობა. ნებისმიერი ქვეყნისთვის წარმატების და განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია სიახლეების აღქმა და გათავისება განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნებისათვის, ამიტომაც გლობალიზაცია მეტად აქტუალურია მსოფლიო მასშტაბით. რომელიც დროსთან ერთად სულ უფრო იზრდება და მსოფლიოც თან მიჰყავს. გლობალიზაცია 20-ე საუკუნიდან სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. გამოცდილება ცხადყოფს, რომ გლობალიზაციის პირობებში მუშაობა ეკონომიკური მდგრადობის და ქვეყნის განვითარების გარანტია.

გლობალიზაციაზე არსებული ლიტერატურის ანალიზმა ნათლად დაგვანახა მისი დადებითი მხარეები. განსაკუთრებით კი განვითარებადი ქვეყნებისათვის მის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე როგორც საერთაშორისო ვაჭრობის ასევე შდა ზარზე, გლობალიზაცია ხომ სიახლეების დანერგვის და განვითარების საწინდარია.

კვლევის მიზანი და ამოცანები.სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გლობალიზაციის როლის განსაზღვრა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოკვეთა და ზოგადად რა გავლენას ახდენს განვითარებად ქვეყნებზე მათ ეკონომიკაზე ასევე გამოკვეთილია განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობა საერთაშორისო ვაჭრობის კუთხით, რა გავლენას ახდენს უშუალოდ გლობალიზაცია ექსპორტ იმპორტზე და როგორ გაიზარდა თუ შემცირდა გლობალიზაციის პირობებში.

მიზნიდან გამომდინარე ნაშრომი კონცენტრირებულია შემდეგ ამოცანებზე:

1.ზოგადად გლობალიზაციის აქტუალობაზე

2.კონკრეტულად რა როლი აკისრია განვითარებად ქვეყნებში გლობალიზაცია

3. როგორია განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო ურთერთობები საერთაშორისო დონეზე

4.სადამდე მივყავართ გლობალიზაციას და როგორი შდეგის მომტანია

კვლევის ობიექტი და საგანი ნაშრომის კვლევის საგანია გლობალიზაციის ეფექტიანობის განსაზღვრა, მისი საჭიროება დღევანდელობაში . თუ როგორ ვითარდებიან განვითარებადი ქვეყნები გლობალიზაციის პირობებში.

თავი I. გლობალიზაციის პროცესები მსოფლიოში

1.1 გლობალიზაციის მიმოხილვა

ზოგადად სამყარო მუდმივ განვითარებას განიცდის და თუ გავიხსენებთ განვლილ წლებს უდაოდ აღმოვაჩენთ იმ უდიდეს ცვლილებებს, რომელიც ჩნდება არა მხოლოდ რომელიღაც კონკრეტულ დარგში არამედ ზოგადად ცხოვრებაში, დროთა განმავლობაში სამყარო მკვეთრად შეიცვალა და თითოეული ჩვენგანი ამის უშუალო მონაწილე ვართ, რადგან დროსთან ერთად ჩვენც ვიცვლებით ვითარდებით,ახალ ტენდენციებს, ცვლილებებს ვუსადაგებთ ჩვენ ცხოვრებას და რა შეიძლება ვუწოდოთ ამ ყოველივეს? ადამიანთა უმრავლესობა აღნიშნავს რომ ეს არის გლობალიზაცია

გლობალიზაცია თანამედროვე ტერმინია და მისი დანიშნულებაა ცვლილებების შეტანა საზოგადოებაში და მსოფლიო ეკონომიკაში,ზოგი მიჩნევს რომ , მას აქვს დადებითი ეფექტი ხოლო ზოგიც აღნიშნავს რომ ქვეყნისთვის მას მოაქვს ზიანი.

„ტერმინი გლობალიზაცია - წარსდგება ფრანგული სიტყვა GLOBAL-ისგან რაც საყოველთაოს ნიშნავს. ლიტერატურაში დამკვიდრდა გლობალიზაციის უამრავი განმარტება . მაგ: ინგლისელი სოციოლოგი ე.გიდდენსი მიიჩნევს, რომ „ გლობალიზაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც სოციალური ურთიერთობების ისეთი ინტენსიფიკაცია რომელიც დაშორებულ ადგილებს ისეთნაირად აკავშირებს, როდესაც ადგილობრივი ყალიბდება ათასობით მილის იქით მომხდარი მოვლენების საფუძველზე და პირიქით“- წერს ის. ამერიკელი ეკონომისტი გ.

ბჰაგვატი აზრით ეს არის „ საგარეო ვაჭრობის , უცხოური პირდაპირი ინვესტიციების , მოკლევადიანი კაპიტალის ნაკადების, სამუშაო ძალის და საერთოდ მოსახლეობის გადაადგილების, ასევე ტექნოლოგიების , საერთაშორისო გაცვლის საფუძველზე მსოფლიო სისტემაში ეროვნული ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესი“.¹

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად გლობალიზაცია გამოიყენება სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ასპექტით:

1. ეკონომიკური მოვლენების ანალიზისთვის
2. პოლიტიკური პროცესების ანალიზისთვის
3. შედარებით უფრო ფართო პოლიტიკური მოვლენის ანალიზისთვის , რომელიც ასახავს საბაზრო პოლიტიკის გავრცელებას როგორც შიდა ასევე საერთაშორისო დონეზე.

გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო მეურნეობა სულ უფრო მიიწვეს ეროვნულ ეკონომიკაში, განსაზღვრავს მისი განვითარების დონეს , ნორმებს.

გლობალიზაციისკენ სწრაფვა უნდა აღინიშნოს რომ 20-ე საუკუნის პოლიტიკური მიმართულებაა , რომელშიც რალაც გარკვეული როლი ჰქონდა საბჭოთა კავშირსაც . გლობალიზაციის განვითარებისკენ სწრაფვა კაცობრიობის დამახასიათებელი თავისებურებაა ის საზოგადოების ეტაპობრივ განვითარებას უკავშირდება.

გლობალიზაცია შესაძლოა დაიყოს რამდენიმე სახედ : ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია, პოლიტიკური, ინფორმაციული, ეკოლოგიური პრობლემების, დამნაშავეობის, ტერორიზმის და მის წინაღმდეგ ბრძოლის გლობალიზაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ ფინანსური გლობალიზაცია არის ყველაზე პროგრესული.

გლობალიზაციის ძირითადი საეობებია: საბაზრო და წარმოების გლობალიზაცია.

¹თ. შენგელაია, (2013). გლობალური ბიზნესი.თბილისი.გვ 30

„საბაზრო გლობალიზაცია ემყარება ისტორიულად მრავალფეროვანი და განცალკევებული ეროვნული ბაზრების შერწყმას ერთ უზარმაზარ გლობალურ საბაზრო სისტემაში. ქვეყნის ეროვნული საზღვრების მიღმა ვაჭრობის ბარიერების მოხსნამ უფრო გაამარტივა საერთაშორისო ვაჭრობის პროცესი. რამდენიმე ხნის განმავლობაში სადაო საკითხი იყო ის რომ მომხმარებლის გემოვნება და არჩევანი სხვადასხვა ერებში მუდავნდება თუ არა რაღაც ზოგადი გლობალური ნორმის დონეზე, დღეისათვის უკვე ცხადია რომ ისინი ქმნიან ერთიან გლობალურ ბაზარს. ისეთი სამომხმარებლო პროდუქტები როგორცაა „სითიქორფის“ საკრედიტო ბარათები, „კოკა-კოლას“ გმაგრილებელი სასელები, „სონი ფლეისთეიშენის“ ვიდეოთამბები, „მაკდონალდის“ ჰამბურგერები, „სტარბაკის ყავა“ სწორედ ამ ტენდენციის ტიპური მაგალითებია. ფირმები, როგორცაა „სითიქორფის“, „კოკა კოლა“, „მაკდონალდის“ „სტარბაკის“ და „სონი“, უფრო მეტნი არიან, ვიდრე ამ ტენდენციის დონორები. ისინი არიან ამ პროცესის მამოძრავებელი ფაქტორები. მთელი მსოფლიოსთვის სტანდარტული პროდუქციის შეღავაზებით ისინი გლობალურ ბაზარს ქმნიან.“²

ცნობილია რომ გლობალიზაციის უშუალოდ აღმოცენება და ნელ-ნელა განვითარება მეოცე საუკუნეს უკავშირდება და ამ განვითარებამ ფეხდაფეხ დღემდე მოაღწია, ზოგადად გლობალიზაციასთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება არსებობს მეცნიერთა ნაწილი თვლის რომ გლობალიზაცია, როგორც უშუალოდ მოვლენა არის საკმაოდ წარმატებული, განვითარებული დიდი ქვეყნებისთვის, ხოლო მეორე ნაწილი აღწმნავს, რომ გლობალიზაცია არის არა მარტო მხოლოდ ერთი ქვეყნის, არამედ მთლიანად მსოფლიოს განვითარებაერთ სივრცეში, ანუ გლობალიზაციის განხილვა მრავალი კონტექსტით არის შესაძლებელი თუმცა ზოგიერთი თვლის, რომ მთავარია თვითონ ქვეყნას იყოს მორგებული, რომ მისი დადებითი მახასიათებლები არ წაიშალოს და მის განვითარებას შეუწყოს ხელი გლობალიზაციის პროცესებთან ერთად.

²თ.შენგელაია, (2013). გლობალურიზაციის.თბილისი.გვ 37

„ ამჟამად გლობალიზაცია არის არა ტექნოლოგიური იმპერატივი ან მხოლოდ ეკონომიკური მოვლენა , არამედ ისტორიული პერქვეტივის კუთხით ის განიხილება, როგორც პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესი . უფრო ფართო თვალსაზრისით , გლობალიზაცია - ეს არის ცენტრალიზებული დაგწეგმვისაგან განდგომის ერთ-ერთი შედეგი, ბრძოლის პროცესი. ა სმიტის „უხილაგხელსა“ და ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის „მკვდარ ხელს“ შორის. გლობალიზაციის პროცესების შედეგად მსოფლიო მეურნეობა სულ უფრო ღრმად იჭრება ეროვნულ ეკონომიკაში, განსაზღვრავს მისი განვითარების პროპორციებს , ურთიერთქმედების მექანიზმს, ფუნქციონირების ნორმებს და სტანდარტებს , მაგრამ არ ცვლის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილის - ეროვნული სახელმწიფოს მნიშვნელობას, არამედ ხასიათდება ნსხვა მონაწილეების - ტრანსეროვნული კორპორაციების, ტრანსეროვნული ბანკების , საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მზარდი როლით.

გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთ შეღწევალობის ზრდის შედეგად სახელწიფო საზღვარი, როგორც ეკონომიკური კატეგორია , გარკვეულწილად კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც ისტორიულ-სამართლებრივი კატეგორია ის კი არ ქრება, არამედ უფრო ლიბერალური ხდება წარმოების სხვადასხვა ფაქტორების გადაადგილების თვალსაზრისით.³

გლობალიზაცია უნდა ითქვას, რომ მის ქვეშ აქცევს როგორც მსოფლიოს ასევე საზოგადოებას და ასე, რომ ვთქვათ სრულიად მსოფლიო იხიბლება მისით მისი შესაძლებლობებით მისი ქმედებებით. გლობალიზაციამ თავი იჩინა დასაბამიდან სამყაროს არსებობის დღიდან და ნელ- ნელა ვითარდება ეს განვითარება კი დაკავშირებულია ადამიანის შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად რაც მეტად ვითარდება და რაც მეტ ცოდნას იძენს ადამიანი ეს პროცესიც

³თ. შენგელაია, (2013). გლობალური ბიზნესი.თბილისი.გვ 31

პარალელურად მიმდინარეობს, ეს კი უკვერაზე მიგვანიშნებს? რომ გლობალიზაცია გარდაუალისასიათის მატარებელია. ადამიანთა გარვეული ნაწილი ამ მოვლენას თანამედროვეობასთან აიგივებენ, რომ რადგან სამყარო გათანამედროვდა ეს კი გლობალიზაციის დამსახურებაა გარკვეულწილად ანუ გლობალიზაცია თანმდროვეობის, ცვლილებების შემადგენელი ნაწილია. გარკვეული ნაწილი კი მას აღიქვამს, როგორც გრძელვადიან მოვლენას ისტორიულ ჭრილში.

გლობალიზაციის მომხრე ანდრეი გუნდერ ფრანკი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია იმ დროიდან მოდის რაც სავაჭრო ხაზი გაიზარდა. აზრები გლობალიზაციასთან დაკავშირებით მკვეთრად განსხვავებული და სხვადასხვა ხასიათის მატარებელია .

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაც გლობალიზაციამდე მიყვანის გზას სამ ჯგუფად ყოფს:

1. ტექნოლოგიური ინოვაციები.
2. პოლიტიკური ცვლილებები.
3. ეკონომიკური პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულია სქემა, რომელშიც მოცემულია მოვლენები, რომლებმაც თანამედროვე გლობალიზაციამდე მიგვიყვანა. გვიჩვენებს, თუ რამდენად ისტორიული პროცესია გლობალიზაცია.

გლობალიზაციის წინამძღვრები

სქემა 1.1

	ეკონომიკა	პოლიტიკა	ტექნოლოგია
1940-	ბრეტონ ვუდსის სავალუტო სისტემის დაარსება (1944-71)	გაეროს დაფუძნება(1945)	პლასტმასისა და ბოჭკოს პროდუქტების მასშტაბური წარმოება(1940)

	GATT-ის დაარსება (1947)	1.მარშალის გეგმის განხორციელება (1948-57) 2.ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის დაარსება(1948)	
	ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს (CMEA) დაარსება საბჭოთა კავშირის მიერ კომუნისტურ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობისთვის	1დეკოლონიზაცია(1948-62) 2ჩინეთი ხდება სოციალისტური რესპუბლიკა(1949)	ნავთობის საბადოების აღმოჩენა ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით საუდის არაბეთში(1948)
1950-	ევროპული გაერთიანების (EC) დაარსება რომის ხელშეკრულებით (1957) თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის დაარსება (1959)	კორეის ომი (1950-53) სუეცის კრიზისი(1956)	ახლო აღმოსავლეთიდან შემოტანილი ნავთობის მოხმარების ზრდა ევროპასა და იაპონიაში "ზუსტ დროში" წარმოების კონცეფციის დანერგვა ტოიოტას მიერ
	მთავარი ვალუტები ხდება კონვერტირებადი(1959)	დეკოლონიზაცია აფრიკაში(1958-1962)	რეაქტიული ძრავის მზარდი გამოყენება საჰაერო ტრანსპორტში (1957-72)
1960-	ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის (OPEC)დაარსება (1960)		პირველი ადამიანი კოსმოსსა (1961) და მთვარეზე (1969)
	ევროდოლარების ბაზრის წარმოშობა ლონდონში		მიკრო სქემები (ჩიპები) შევიდა კომერციულ მიმოქცევაში (1961)
	GATT-ის კენედი რაუნდი (1964-69) ავტომობილების სწრაფი ზრდის შედეგად საქვავის მომხმარების ზრდა	ბერლინის კედლის აღმართვა და კუბის (კარიბის) კრიზისი (1962)	ნავთობპროდუქტებისა და გაზის "ნაპირიდან მოშორებული" წარმოების განვითარება
	აზიის ქვეყნების მიერ იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკასთან შედარებით ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკის უპირატესობის მინიჭება		მწვანე რევოლუცია- აგროკულტურული წარმოების გარდაქმნა განვითარებად ქვეყნებში (1960-იანი წლებიდან) ჩქაროსნული მატარებლის პირველი ხაზის გახსნა იაპონიაში (1964) მონბლანის

			გვირაბის გახსნა (1965)
1970-	ამერიკული დოლარის ოქროს სტანდარტიდან გასვლა(1971)	რამადანის ომი (იომქიფურის ომი)	გამოუშვეს პირველი მიკროპროცესორი ერთი ინტეგრალური (მიკრი) სქემით (1971)
	GATT-ის ტოკიოს რაუნდი (1973-79)	EU-ის გაფართოება 9 წევრამდე (1973)	
	ნავთობის შოკი (1973-74 და 1979)		
	აზიის ახალი ინდუსტრიული ქვეყნების განვითარება ჩინეთის ეკონომიკური რეფორმა (1978)		
1980-	აშშ-ის ინფლაციის წარმატებით დაძლევა		IBM-ის შემოაქვს პირველი პერსონალური კომპიუტერი (1981)
	განვითარებად ქვეყნების დებეტის კრიზისი მექსიკის მიერ საბაზრო რეფორმების დანწყება დაGATT-თან შეერთება (1986)	EU-ის გაფართოება 12 წევრამდე	მაიკროსოფტს შემოაქვს ვინდოუსი (1985)
	ლუვრის შეთანხმება, რომლის მიზანი იყო სავალუტო ბაზრების სტაბილიზება და დოლარის გაუფასურების შეჩერება	ბერლინის კედლის დანგრევა (1989)	
1990-	ინდოეთში ეკონომიკური რეფორმების განხორციელება (1991) ჩრდილო ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმება (1994 აზრიის ფინანსური კრიზისი (1997)	საბჭოთა კავშირის დაშლა (1991)	ევროგვირაბის გახსნა, რომელმაც გაერთიანებული სამეფო კომიტეტთან დააკავშირა მობილური ტელეფონების როდენობის ზრდა, რომელიც გამოიქვია მეორე თაობის ქსელის ზრდამ პირველი 2G-GSM ქსელის აუშავება ფინეთში

	WTO_ის დაარსება (1995)		მსოფლიო მასშტაბის ქსელის (WWW)შექმნა (1989) -პირველი ვებ გვერდი ონლაინზე გამოჩენა 1991 წელს ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობის გარზრდა 300 მლნ-მდე (2000)
	ევროს შემოღება 11 ევროპულ ქვეყანაში (1999)	მაასტრიხტის ხელშეკრულების გაფორმება (1992)	
2000-			საზღვაო გადაზიდვების 70 %-ზე მეტი ხორციელდება კონტეინერებით
	ჩინეთი უერთდება WTO_ს (2001)		ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა გაიზარდა 800 მლნ-მდე (2005)
		EU-ის გაფართოება 27 წევრამდე	

წყარო: ჩადუნელი ნ, ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი2013

გლობალიზაცია განვითარებადი პროცესია. მან მოიყვანა ისეთი ფუქციებიც, როგორც თავდაცვა და უსაფრთხოებაა. თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ გლობალიზაციის პროცესიპირდაპირ კავშირშია ეკონომიკასთან. თვითონ ტერმინს „ გლობალიზაცია“ კი უშუალოდ ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა .ამისშემდეგმიიღო უფრო ფართოდანიშნულება და მოიყვანა სხვადასხვა დარგები.


გლობალიზაცია აჩქარებს სახელმწოფოებს შორის მოლაპარაკებებს , ანუ ის აფართოებს ურთიერთობებს, გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია, და მისი ერთ- ერთი დადებითი თვისება არის ის, რომ უცხო ქვეყნებთან აგვარებს ურთიერთობებს ამით კი რასაკვირველია სარგებელი მოაქვს, აღრმავეს ურთიერთობებს და იზიდავს უფრო მეტ და მეტ საექსპორტო ბაზრებს ეს კი

თავისმხრივ გაძლიერებულ ეკონომიკაზე მეტყველებს, გლობალიზაციის პროცესები სულ უფრო და უფრო მეტ სახელმწიფოებს იზიდავს და აერთიანებს ერთ სივრცეში, ურთიერთობების ხარისხი უმჯობესდება, როგორც ადამიანებს შორის ასევე სახემწიფოებს შორის. გლობალიზაციის დროში სახელმწიფო აღარაა ყოვლისმომცველი მან დააქვეითა, დააკნინა სახელმწიფო ძალაუფლების როლი ეროვნული ბაზრის გაუქმებით. ანუ უფრო მეტ და მეტ ფუნქციებს იძენს თვითონ გლობალიზაცია და სწორედ მისი ყოვლისმომცველი დანიშნულებით იზიდავს და იპყრობს სრულიად მსოფლიოს. დროსთან ერთად მან უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და გაარღვია საზღვრები მთლიანი მსოფლიო მოაქცია ერთ სივრცეში და უნდა თითოეული ქვეყანა მისი გავლენის ქვეშ მოაქციაოს სწორედ ამიტომ არის რომ გლობალიზაცია ამ საუკუნის აქტუალური თემა და სულ უფრო და უფრო წინ მიიწევს მისი გარდაუვალობაც ნათლად აისახება ამ ყოველივეში, რადგან დრომ ცხადყო მისი და დაგვანახა თუ როგორ შემოდის თითოეულ ქვეყანაში და როგორ აქცევს მის ირგვლივ ყველაფერს.

არსებობს მოსაზრება რომ გლობალიზაცია არის ერთი მთლიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების პროცესი. რომ ზოგადად მსოფლიო მოექცეს ერთ სივრცეში და ერთნაირი ღირებულებები და ფასეულობები შეიძინოს ანუ მსოფლიო გაერთიანებას უწყობს ხელს.

ზოგადად გლობალიზაცია იმდენად პროგრესულია რამდენადაც, როგორც თვითონ ადამიანი ასევე მისი ცოდნა გარესამყაროსყაროს და მისი განვითარების შესახებ .

ზოგადად თვითონ გლობალიზაციის პროცესი როგორც უკვე ავლნიშნეთ საზოგადოების განვითარებას უკავშირდება , მისი სანყისი მოდის სწორედ მის განვითარებასთან ერთად და ასევე მათი ცოდნის ამაღლებასთან ერთად.



წყარო: ჩადუნელი ნ, ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციაში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი 2013

„სპეციალურ ლიტერატურაში განასხვავებენ გლობალიზაციის ოთხ ძირითად მოდელს: ნეოლიბერალური, ამერიკული, გაეროს და ევოპული

1. ნეოლიბერალური მოდელი ითვალისწინებს: სამეწარმეო საქმიანობის დარეგულირებას.
2. ამერიკული მოდელი რომელიც გულისხმობს ეკონომიკის ამერიკანიზაციას.
3. გაერო პროექტი გულისხმობს, რომ გლობალური პრობლემების გადაწყვეტაში მთავარი დანიშნულება გაეროს ეკისრება. 1999 წელს გაერომ მიერ შემუშავებულია პროექტი „გლობალური შეთანხმება“ რომელიც მზადაა თანამშრომლობისთვის გლობალური პასუხისმგებლობის საფუძველზე.

4. ევროპული მოდელი ითვალისწინებს მონაწილე ქვეყნების შესვლას მსოფლიო ეკონომიკაში ამ შემთხვევაში გლობალიზაცია ემყარება ევროკავშირის .“⁴

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ გლობალიზაციის დაჩქარებაში დიდი წვლილი შეიტანა კომუნიკაციის განვითარებამ. ანუ კომუნიკაციებმა და ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა მთლიანად მსოფლიო, სამყარო მოიცვა და საზოგადოებაც მის ჩარჩოებში მოაქცია ესეც ერთ ერთი ნათელი სახეა თვითონ გლობალიზაციის.ტექნოლოგიური გლობალიზაციის ხარისხი შესაძლოა შევაფასოთ დანახარჯებით კვლევებსა და განვითარებაზე და გავაანალიზოთ ისინი.

გლობალიზაცია აჩქარებს სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებებს , ანუ ის აფართოებს ურთიერთობებს გლობალიზაციის პროცესები სულ უფრო და უფრო მეტ სახელმწიფოებს იზიდავს და აერთიანებს ერთ სივრცეში ურთიერთობების ხასისხი იზრდება, როგორც ადამიანებს შორის ასევე სახემწიფოებს შორის

გლობალიზაცია ადამიანის ქვეყნების და სრულიად მსოფლიოს განვითარებას უკავშირდება, შესაძლოა ითქვას რომ ისინი ეტპობრივად ვითრდებიან დროსთან ერთად გლობალიზაცია განვითარებადი პროცესია, ის უნდა მოერგოს თითოეულ ქვეყანას და წარმატება მოუტანოს მას.

⁴ე.ეთერია, (2008). გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება.თბილისი.გვ 44

1.2 გლობალიზაციის მნიშვნელობა განვითარებად ქვეყნებში

მეოცე საუკუნეში შეიძლება ითქვას რომ დიდ და განვითარებულ ქვეყნებში ქალაქის მოსახლეობა 80% გაუტოლდა. ანუ შეიგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალიზაციამ განაპირობა „გაქალაქიანების“ პროცესი მსოფლიოში ქალაქის როლი საგრძობლად გაიზარდა, ასევე შესაძლოა ავლნმნოთ ძლიერი სახელმწიფოების სუსტზე ზემოქმედება .

ყოველივე ამის გათვალისწინებით გლობალიზაციას მიიჩნევენ დადებითად მხოლოდ განვითარებული ქვეყნებისათვის, თუმცა მრავალი მოსზრებათაგან არსებობს რომ გლობალიზაცია დადებითია ყველა გაგებით , რომ გლობალიზაცია არა ქვეყნის დაკნინებას და სუტზე ზემოქმედებას უწყობს ხელს არამედ განვითარებას.

გლობალიზაციას ზოგადად ახასიათებს:

- ✓ ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლა
- ✓ გლობალურისაკაცობრიო პობლემის აღმოცენება
- ✓ რამდენიმე წამყვანი ქვეყნის დადებითი გავლენა მსოფლიოზე
- ✓ განვითარებადი ქვეყნების მიერ გლობალურ წარმოებაში ჩართვა

გლობალიზაციასთან დაკავშირებით მრავალი აზრი არსებობს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მთავარია გამოიყოს უშუალოდ რა მიმართულებით წასვლა სჯობს რა მიმართულებით არ დაიკარგება ქვეყნის ფასეულობები და როგორი კუთხით განვითარდება მთავარია ამ ორის დაბალანსება და კავშირის პოვნა, რომ არ დაირღვეს არცერთი და ქვეყანამ მაქსიმალურურად მიაღწიოს წარმატებას და იყოს ეკონომიკურად ძლიერი, გლობალიზაციამ არ შთანთქას ქვეყნის კარგი და პირიქით უფრო და უფრო მეტი შესძინოს, გახდეს მდგრადი და განვითარებული ანუ გლობალიზაციამ გაითავისოს თითოეული ქვეყნის ფასეულობა და ამ სიახლეების კორიანტელში არ დააკრგინოს ის კარგი რაც მას გააჩნია.

ერთ ერთი ბრაზლილიელი მეციერი თეოტონიო დოს სანტოსი ამტკიცებს, რომ გნვითარებად ქვეყანას მუდმივადჭირდება კაპიტალის სესხება

განვითარებული ქვეყნებისგან, ეს კი თავისმხრივ უკვე დამოკიდებულებას იწვევს ძლიერ ქვეყნებზე და შემდეგ კი მისი გავლენის ქვეშ ექცევიან .

თუმცა ამის კონტრარგუმენტად შესაძლოა მოვიყვანოთ ინდოელი მეცნიერის შეხებულება ის ამტკიცებს, რომ ინდოეთს გლობალიზაციამ ბევრი სასიკეთო რამ შესძინა და რომ მასზე დადებითთადად იმოქმედა თვითონ ამ პროცესმა.

ინდური ეკონომიკა საკმაოდ შეზღუდული იყო მაღალი სავაჭრო ბარიერებით და განუვითარებელი გარემოთი, თუმცა დაახლოებით 90იან წლებში გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად ინვესტიციების მოზიდვამ შესაბამისად გამოიწვია დაწესება სავაჭრო ბარიერების და ინდოეთიც ჩაება აქტიურად გლობალურ ვაჭრობაში.

ინდოეთმა კრიზის რეფორმებით უპასუხა გლობალიზაციის დახმარებით ინდოეთის ბაზრების საკმაოდ გაფართოვდა და განვითარდა, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა . 2003 წლის ინდოეთის მშპ-მ 3,4% დაიკლო 2004 წელს კი 70% მიაღწია. ამ მონაცემებით შეგვიძლია ვთქვათ რომ ინდოეთი მზარდი ქვეყანაა, როემლიც საკმაოდ სწრაფად ადაპტირდება ახალ გარემოსთან და დადებითად რეაგირებს გარემო ფაქტორების ცვლილებებზე, ჩინეთის შემდგომ.ამ მაგალითზე დაყრდნობით შეგვიძლია გლობალიზაციას დადებითი მოვლენა ვუწოდოთ, რადგან მან დიდი როლი შეასრულა სიღარიბესთან ბრძოლაში.

ინდოეთისთვის მეტად მნიშვნელოვანია შემდეგ საკითხებზე ყურადღების გამახვილება:

- ✓ ტექნოლოგიური განვითარება
- ✓ მმართველობითი მენეჯმენტის დახვეწა
- ✓ სოფლის მეურნეობის განვითარება
- ✓ მცირე და საშუალო ბზინეს სანარმოების გახსნა

ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის ეპოქაში . გლობალიზაციის შედეგია ინდოეთში სხვადასვა სფეროების განვითარება მაგ: ინფორმაციული ტექნოლოგიების და ბიზნესის სფეროების, ასევე გლობალიზაციამ შეუწყო ხელი ინდოეთის ბაზარზე ისეთი კორპორაციების დამკვიდრებას როგორცაა : კოკა

კოლა, მაკდონალდსი.გლობალიზაცია ხელს უწყობს როგორც ეკონომიკის განვითარებას, ასევე სახელმწიფოს გახდეს დემოკრატიული.

გლობალიზაცია თავისუფლად შეიძლება ითქვას რომ ქმნის სიღარიბის უფრო სწრაფად დაძლევის შესაძლებლობას .გლობალიზაცია უზრუნველყოფს მეტ თავისუფლებას მან კი არ შეამცირა მოქალაქის თავისუფლება პირიქით.

თანამედროვე მედიამ პატარა და დამორებულ ჯგუფებსაც კი მისცა საშუალება თავიანთი ინტერესები წინა პლანზე წამოეწიათ და განვითარებინათ.

გლობალიზაცია სუვერენული ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს აუმჯობესებს, განვითარებული ქვეყნები საკმაოდ არიან ჩართულნი და დაინტერესებულები განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე მოვლენებზე, მათ მდგომარეობაზე . განვითარებადი ქვეყნებიკი ყოველივეს გათვალისწინებით უფრო მეტად არიან დამოკიდებლნი განვითარებულ ქვეყნებზე.

ანტიგლობალისტების შეხედულებით გლობალიზაცია უპირველესად მაღალგანვითარებული ქვეყნების ინტერესებს გამოხატავენ.

ანტიგლობალისტები ასევე იკვლევენ ისეთ გლობალურ პრობლემას, როგორცაა ეკოლოგიური კრიზისი. მათი წარმოდგენით გლობალიზაცია ნეგატიურად ზემოქმედებს გარემოზე. ისინი ფიქრობენ, რომ ურბანიზაცია, სიმდიდრის არასწორი განაწილება არის გარემოს, უკან დახვევის და განადგურების მიზეზი მისი დამაბინძურებელი ეფექტი სერიოზულ საფრთხეს უქმნის განვითარებადი ქვეყნების მდგრად განვითარებას.

გლობალიზაციის ურყოფით მხარედ დაავადების სწრაფი გავრცელებაც შესაძლოა მივიჩნიოთ ასევე გაზრდილი გარემოს დაბინძურებაც მაგრამ გლობალიზაციაა ქვეყნებს ასევე სთავაზობს ამ პრობლემის აღმოფხვრის და მოგვარების გზებს.

გლობალიზაციის პროცესი სულ უფრო შეუქცევადი ხდება და ითრევს სულ ახალ-ახალ სახელმწიფოებს.

გლობალიზაცია ხელს უწყობს სახელმწიფოს გახდეს დემოკრატიული . ამ ქვეყნებს შორის არის საქართველოც გლობალიზაცია შეუწყობს ხელს საქართველოს

ჩამოყალიბებას დემოკრატიული კუთხით და ასევე გავა დახურული სივრციდან, ანუ უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს ასევე უზრუნველყოფს უსაფრთხოებას.

ჩვენ შეგვიძლია გლობალიზაციის დადებითი მხარეები გამოვიყენოთ, ჩვენდა სასიკეთოთ შემოვატრიალოთ და დავიცვათ ამავდროულად ქვეყანა უარყოფითი მოვლენებისგან, მისი ერთ ერთი უარყოფითი მხარე არის ის რომ მსოფლიოს გაერთიანებებს და ტრადიციების უგულვებელყოფას იწვევს არადა ზოგადად სახელმწიფოების განმახვავებელი ხომ სწორედ ტრადიციებია ასე რომ ყურადღება უნდა გავამახვილოთ ეროვნულობაზე, რათა არ დაიკარგოს და გლობალიზაციამ და ყოველივე ახლისკენ სწრაფვამ არ შთანთქმას და გაანადგუროს ჩვენი ეროვნული ფასეულობები და ძირითადი მნიშვნელოვანი თვისებები. საქართველოსთვის აუცილებელია სარწმუნოების ტრადიციების ენის შენარჩუნება, ანუ რაც განგვასხვავებს და გამოგვარჩევს სხვა კულტურებისაგან ამ ეროვნულობას და ფასეულობებს უნდა მოვარგოთ ახალი და ჩავენათ გლობალიზაციის პროცესში რათა განვითარდეთ და მივიღოთ მაქსიმალური სარგებელი.

გლობალიზაციის უარყოფით შედეგად აუცილებელია განვიხილოთ ქვეყნის ადგილობრივი ბაზარი, როდესაც ადგილობრივ ბაზარზე შემოდინან უცხო ფირმები და ინვესტორები ამან რასაკვირველია შესაძლოა მიგვიყვანოს იმ შედეგამდე რომ გამოეთშონ ადგილობრივი ფირმები რათა ვერ გაუძლონ კონკურენციას. ინტეგრაციაში დონის ზრდის შედეგად იზრდება მიგრაცია, რაც თავს მხრივ იწვევს სხვადასხვა კულტურის შემოსვლად და დამკვირდრებას ერთ რომელიმე ქვეყანაში და ამით კი იაკრება ეროვნულობა ამით კი იკარგება საკუთარი ქვეყნის ტრადიციები ასევე იცვლება მენტალიტეტი და ქვეყანა ემსგავსება სხვადასხვა კულტურათა ერთობლიობას. გლობალიზაციის დადებითი შედეგია ეკონომიკის გაძლიერება, გლობალიზაცია ასევე ავითარებს ქვეყნის სოცლალურ ფონს.

ეკონომიკური გლობალიზაციის თვალსაზრისით თუ ვიმსჯელებთ საქართველო 19- ე ადგილზეა ზოგადად გლობალიზაციის დონით კი ნ3გლობალიზაციის დონე გვიჩვენებს თვითონ ქვეყანა როგორი სიძლიერისაა, ანუ როგორაა პოლიტიკური სოციალური თუ ეკონომიკური კუთხით მსოფლიოში.

პოლიტიკური დონის განმსაზღვრელია მაგ: საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა, საელჩოების რაოდენობა და ა.შ.

სოციალურ გლობალიზაციის განმსაზღვრელია: ზოგადად ურთიერთობები მსოფლიოსთან ანუ რამდენად აქტიურია უცხოელებთან კონტაქტის თვალსაზრისით, როგორია ტურიზმი, უცხო ქვეყნის წილი მოსხლეობში უცხო ქვეყნის რესტორნების რაოდენობა და ა.შ.

ცხრილში მოცემულია გლობალიზაციის ინდექსის რეიტინგი 2015 წლის მონაცემების თანახმად.

ცხრილი:1.1

გლობალიზაციის ინდექსის რეიტინგი

ადგილი	ქვეყანა	ქულა
1	ირლანდია	91.3
2	ჰოლანდია	91.2
3	ბელგია	91.0
4	ავსტრია	90.2
5	სინგაპური	87.5
6	შვედეთი	86.6
7	დანია	86.3
8	კორეა	86.3
9	შვეიცარია	86.0
10	ფინეთი	85.6
20	საფრანგეთი	85.7
27	გერმანია	78.9
34	აშშ	74.8
42	უკრაინა	69.5
44	თურქეთი	69.0
53	რუსეთი	65.9
63	საქართველო	63.8
83	სომხეთი	57.8
87	აზერბაიჯანი	57.2

წყარო : forbes.ge/news/692/saqarTvelos-ekonomikuri-globalizacia

ხოლო ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგში საქართველოს 19-ე ადგილი(იხ.ცხრილი1.2) განაპირობა ლიბერალურმა პოლიტიკამ ეს პოზიცია ეკონომიკურ განვითარებაზე მეტყველებს ვიდრე ზოგადად განვითარების დონეზე. ვერ ვნახავთ პატარა ქვეყანას სადაც შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მაღალია ხოლო ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში დაბალი პოზიცია უჭრავს.ზოგადად ღარიბი ქვეყნების განვითარებისაკენ მიმავალ გზად იქცა უცხოური კაპიტალის საერთაშორისო ვაჭრობა.

საერთაშორისო ვაჭრობა აძლევს ქვეყანაში შესაძლებლობას შემოიტანოს იმპორტი და ასევე გაიტანოს საზღვრებს გარეთ საქონელი, რაც უფრო შედარებით იაფია ვიდრე სხვა ქვეყნებში. რასაკვირველია ქვეყანა ამით დიდ მოგებას პოულობს ვყიდულობთ იაფად და ვყიდით ძვირად. ეს კი რას ნიშნავს?? რომ ქვეყნის ეკონომიკა ძლიერდება და ვითარდება. მოსახლეობით და ტერიტორიით მცირე ქვეყნებისათვის გლობალურ ბაზრებთან გაერთიანება მნიშვნელოვანია. ეს საჭიროა იმისათვის რომ ქვეყნის საზღვრები არ სრულდებოდეს საზღვრებთან, საჭიროა გაფართოვდეს და გასცდეს მის ფარგლებს. და ქვეყანაში წამოებული პროდუქციის მომხმარებელი თვითონუშუალოდ ქვეყნის მოსახლეობა კი არ იყოს არამედ გავიდეს საერთაშორისო ბაზრებზე.

გლობალიზაციის მაღალი დონე ნიშნავს მთელი რიგი ფაქტორების განვითარებას და ეკონომიკის აღმავლობას რათა ქვეყნის იდექსი ამაღლდეს და გახდეს კონკრენტუნარიანი სხვა ქვეყნების მიმართ . საქართველომ გლობალიზაციის ინდექსში 2006 წლიდან ნელ ნელა დიწყო ევოლუცია და აღმასვლა რაც, თავის მხრივ პირდაპირ კავშირშია წინა წლებში გატარებულ რეფორმებთან . საქართველოს ეკონომიკა ბოლო წლებში შედარებით შენედა თუმცა 4% -იან ნიშნულს აღწევს. სწორედ 2004-2007 წლებში ჩაყარა საფუძველი დღევანდელ ბიზნეს გარემოს, აღნიშნული ბიზნეს გარემო შეძლებისდაგვარად უმკლავდება ეკონომიკურ კრიზისს, ინფლაციას, დევალვაციას და ა შ.

ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში უცხოური კაპიტალის ზრდა რაც თავის მხრივ მხოლოდ გლობალიზაციის განვითარებას კი არ უწყობს ხელს არამედ ზოგადად ქვეყნის და თვითონ ეკონომიკური განვითარების საწინდარია.

ისეთ განვითარებულ ქვეყნებს როგორცაა მაგალითად: ინგლისი, საფრანგეთი ჰოლანდია... საკმაო დრო დასჭირდათ, რათა მიეღწიათ ეკონომიკური კეთილდღეობისთვის და განვითარებისთვის შესაძლოა საუკუნეებიც კი, ეკონომიკური გლობალიზაცია იძლევა შანს ამ შედეგს რამდენიმე ათწლეულში მივაღწიოთ და არ დაგვარგოთ ეს შანსი. საქართველოს ბიზნეს გარემო იძლევა იმის შესაძლებლობას სწრაფად აქციოს ქვეყანა განვითარებული ეკონომიკური კუთხით თუმცა ამას ახალი რეფორმების გატარება სჭირდება, ასევე მეტი უცხოური ინვესტიციები და კაპიტალ დაბანდებები, ამიტომ აუცილებელია მიმზიდველი ბიზნეს გარემოს შექმნა.

ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალი დონის მთავარი პრობლემა და უარყოფითი მხარე არის ის რომ მასზე გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები, რადგან ქვეყანა დამოკიდებულია სხვა ქვეყნის ეკონომიკურ, როგორც წარმატებაზე ასევე წარუმატებლობაზე, თუმცა ეს უფრო მეტად ეხება შედარებით დაბალ განვითარებულ ქვეყნებს რადგან შედარებით ძლიერ ქვეყნებზე არიან დამოკიდებულნი. ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საწინდარია კაპიტალის თავის მხრივ იყოფა შიდა და უცხოურ ივესტიციებად. ისიც აღსანიშნავია, რომ ქვეყანა მხოლოდ მისი შიდა დანაზოგით მნიშვნელოვან ეკონომიკურ აღმავლობას ვერ გამოიწვევს, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიანი ქვეყანა რომელსაც რეალურად არ აქვს ის სახსრები რომ დამოუკიდებლად მიაღწიოს წარმატებას და წინსვლას, შესაბამისად დაბალბიუჯეტის ქვეყნები ცდილობენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ შექმნან ჯანსაღი და მიმზიდველი ბიზნეს გარემო, ეს კი თავისმხრივ ნიშნავს უცხოური ინვესტიციების მოზიდვად, კაპიტალ დაბანდებებს და ა. შ. 2012-2015 წლის მონაცემებით უცხოური კაპიტლის მარაგი მშპ იყო-29% , საგარეო ვაჭრობის ბრუნვა ეკონომიკისადმი კი იყო-65%.

ქვემოთ მოცემულია კონკრეტული ცხრილისადაც ნაჩვენებია ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგი 2015 წლის მონაცემების მიხედვით საქართველო არის 19 ადგილზე, რეალურად საქართველო ვითარდება და წინ მიიწევს უერთდება გლობალურ სივრცეს და თითქოს და ინტეგრირდება მსოფლიოში, ეკონომიკური გლობალიზაციისკენ სწრაფვა კი თავისმხრივ გულისხმობს ეკონომიკურ

მდგრადობას, კეთილდღეობას, წინსვლას, გაზრდას და ეკონომიკური წინსვლის ხელშემწყობ ღონისძიებებს რაც თითოეული ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ნუ ზოგადად ქვეყნის მდგრად განვითარებას, გაუმჯობესებას და გათანამედროვეობას.

კონკრეტული ცხრილიც რეალურად მაჩვენებელია ჩვენი გლობალიზაციისკენ სწრაფვის დონის, ხარისხის, აქიდან გამომდინარე თანამედროვეობასთან და ინოვაციებთან ჩვენი ადაპტირების ხარისხს.

ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგი 2015 წელი

ცხრილი:1.2

ეკონომიკური გლობალიზაციის რეიტინგი

ადგილი	ქვეყანა	ქულა
1	სინგაპური	95.7
2	ირლანდია	92.6
3	ლუქსემბურგი	91.1
4	ჰოლანდია	90.3
5	მალტა	90.3
6	ბელგია	88.0
7	არაბთა გაერთიანებული საამიროები	87.8
8	ესტონეთი	87.4
9	ფინეთი	86.4
10	უნგრეთი	84.8
15	შვედეთი	83.2
19	საქართველო	81.0
48	ინგლისი	70.5
55	საფრანგეთი	67.8
56	უკრაინა	67.5
64	სომხეთი	64.1
73	აზერბაიჯანი	62.1
105	თურქეთი	55.6
110	რუსეთი	53.3

წყარო : forbes.ge/news/692/saqarTvelos-ekonomikuri-globalizacia

ადგილი	ქვეყანა	ქულა
1	სინგაპური	96.1
2	ირლანდია	93.1
3	ლუქსემბურგი	91.8
4	ნიდერლანდები	90.1
5	მალტა	90.3
6	არაბთა გაერთ. სამიროები	88.4
7	უნგრეთი	86.9
8	ესტონეთი	86.1
9	ბელგია	86.0
10	ბაჰრეინი	85.5
15	ჩეხეთი	82.9
16	საქართველო	82.6
17	ფინეთი	82.2
51	სომხეთი	69.7
54	უკრაინა	68.9
77	აზერბაიჯანი	61.9
107	თურქეთი	55.4
111	რუსეთი	54.9

წყარო:forbes.ge/news/1893/ekonomikuri-globalizaciis-msoflio-indeqsi

ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზაციის ეპოქაში, სურვილის მიუხედავად მას თან მივყავართ ერთგვარ ჯაჭვში გვაბამს და ჩვენ უნდა მოვერგოთ, უნდა გავითავისოთ და გავაანალიზოთ რა კუთხით წასვლა სჭობს რომ არ ჩამოვრჩეთ მსოფლიო განვითარებას, ზოგადად განვითარებადი ქვეყნებისთვის კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეს პროცესი აუცილებელია გაიაროს მისთვის დამახასიათებელი ყველა ეტაპი რომ შეუერთდეს განვითარებული სახემწიფოების რიცხვს.

თავი II. განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების ანალიზი

2.1. საქართველოს სავაჭრო ურთიერთობების მიმოხილვა


მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბიზნეს გარემო ვითარდება მცირე და საშუალო მენარმეობის გაუმჯობესებისა და წინა პლანზე წამოწევისათვის შესაძლოა ითქვას, რომ სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად მქომედებს . 21-ე საუკუნეში, რომ იყოს კარგად განვითარებული ეკონომიკური გარემო აუპირველესი ფაქტორია, წარმოების გაუმჯობესება, რადგან მათ გარეშე ეკონომიკური კეთილდღეობაც ფაქტიურად კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. განვითარებად ქვეყნებში 90% ზე მეტს წარმოადგენს მცირე და საშუალო საწარმოები, მაგრამ მშპ საკმაოდ დაბალია სადღაც 14%ზე ნაკლები.

საქართველოს ექსპორტი 2014 წლიდან მოყოლებული საკმაოდ შეიცვალა საგრძნობლად შემცირდა . ამ მოვლენების გათვალისწინებით საკმაო პრობლემები შეექმნა საქართველოს ექსპორტის კუთხით, რადგან მკვეთრი შემცირება დაიწყო ექსპორტის და ეს კი მოგვხსენებათ ქვეყნისთვის რამდენად რთულია. საქონლის ექსპორტი მშპ სთან მიმართებით 2014 წელს იყო 16% ხოლო საქონლისა და მომსახურების ექსპორტმა მშპს თან მიმართებით 42% გახდა. აქედან გამომდინარე თავისუფლად შესაძლოა ითქვას, რომ მომსახურების ექსპორტი ჭარბობს. თუმცა ნელ ნელა მანაც ეკლება დაიწყო და 2015 წელს საქონლის ექსპორტს გაუტოლდა.

2016 წელს 2014 წელთან შედარებით ექსპორტი შემცირდა დაახლოებით 27% -ით . ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა განხორციელდეს მუდმივად რადგან არ შესუსტდეს ქვეყნის ეკონომიკა. სხვადასხვა ღონისძიებების გატარებაა საჭირო ექსპორტის ხელშეწყობისათვის, რადგან გამოცდილება ცხადყოფს თუ როგორ იცვლება ქვეყანა როდესაც მაღალია ექსპორტი და იმპორტი, როდესაც ქვეყანა ღიაა უცხოელებთან პარტნიორობისთვის და მზადაა თუნდაც გარკვეულ პროდუქციაზე ბარიერები დაწიოს ეს ხომ ურთიერთობებს ახალ უფრო წარმატებულ ეტაპზე გადაიყვანს, ამიტომ რეალურად

ყოველმა ქვეყანამ და განსაკუთრებით კი განვითარებადმა ქვეყანამ უნდა გაამახვილოს ყურადღება ამ ყოველივეზე.

დიაგრამა 2.1



წყარო: geostat.ge

ცხრილი 2.1

	2016		2017*	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
ექსპორტი – სულ	2 113 136.1	100.0	2 727 971.5	100.0
მათ შორის:				
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	312 323.5	14.8	419 805.0	15.4
ფეროშენადნობები	169 300.6	8.0	306 931.9	11.3
მსუბუქი ავტომობილები	166 633.7	7.9	234 884.9	8.6
ყურძნის ნატურალური ღვინოები	113 533.7	5.4	170 985.5	6.3
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული ეთილის სპირტი არადენატურიზებული, სპირტის კონცენტრაციით 80 მოც.%-ზე ნაკლები, სპირტიანი სასმელები	91 911.4	4.3	126 612.7	4.6
მინერალური და მტკნარი წყლები	79 825.3	3.8	95 762.4	3.5
